საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 224

2019 წ. "03" 12

ქ.თბილისი

სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის თაობაზე

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდგომში - აკრედიტაციის დებულება) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირობითი აკრედიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საბჭო, თუ „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 3^2 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად ვერ აკმაყოფილებს აკრედიტაციის სტანდარტებს, კერძოდ, თუ საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას: ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან".

თავმჯდომარე

მდივანი

1.3. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის დებულების მე-4 პუნქტის მიხედვით, პირობითი აკრედიტაციის ვადაა არაუმეტეს 2 წელი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. 2019 წლის 01 ივნისს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტმა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) წარმოადგინა №684878 სააკრედიტაციო განაცხადი „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების“ ინტეგრირებულ საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 05 ივლისის №571 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 სექტემბრის №828 ბრძანებით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2019 წლის 04 ოქტომბერს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, ხოლო 2019 წლის 26 ნოემბერს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		✓		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თავმჯდომარე

მდივანი

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2019 წლის 03 დეკემბერს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის მაძიებელს უნდა მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის დანართი №1-ით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების" ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

3. ცნობილ იქნას აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 03 დეკემბრის №63 სხდომის ოქმის №02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

4. მიეცეს შემდეგი რეკომენდაციები:

ა) უაღრესად მნიშვნლოვანია პროგრამის საჭიროების დასადასტურებლად ემპირიული მკტიცებულებების სისტემური შეგროვება და ანალიზი. სრულყოფილ იქნეს მიზნობრივი კითხვარები, რათა სათანადოდ გამოიკვეთოს როგორც ბაზარზე არსებული საჭიროებები, ასევე ის უნარები, რომლებსაც კურსდამთავრებული უნდა აკმაყოფილებდეს. ასევე, გამოვლინდეს და პროგრამას საფუძვლად დაედოს პოტენციური დამსაქმებლების ინდივიდუალური ან/და საერთო საჭიროებების ანალიზი. ემპირიული მტკიცებულების გამყარების მიზნით, ასევე, საჭიროა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი;

ბ) პროგრამის გაძლიერების მიზნით, გადაიხედოს და ლოგიკურად დალაგდეს სწავლის შედეგები. ხშირ შემთხვევაში, წარმოდგენილი შედეგები საჭიროებს მხოლოდ ლოგიკურ გადაჯგუფებას, ინდივიდიალურ შემთხვევებში კი, შესაძლებელია გარკვეული შედეგების გაერთიანება ან/და ფორმულირების შეცვლა;

გ) პროგრამაზე დაშვების წინაპირობის კუთხით, გაიწეროს უცხო ენის დიაგნოსტიკური ტესტის წერის ვალდებულება; ვინაიდან სასწავლო უნივერსიტეტი ვალდებულებას იღებს უცხო ენების შემსწავლელი სავალდებული ან/და არჩევითი საგნები სტუდენტებს ცოდნის დონის შესაბამისად შესთავაზოს. ასევე,

თავმჯდომარე

მდივანი

გადაიხედოს უცხო ენის დიაგნოსტიკური ტესტის შინაარსი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სტუდენტების ენის კომპეტენციის სიღრმისეული ანალიზი, სხვადასხვა უნარის მიხედვით;

დ) უზრუნველყოფილ იქნეს არჩევითი კურსების შინაარსობრივი და რაოდენობრივი მრავალფეროვნება. ასევე, სასწავლო უნივერსიტეტმა უცხო ენების შესწავლის სავალდებულო ან არჩევით კურსებში ჩართვის თაობაზე შეიმუშაოს გარკვეული ხედვა;

ე) გადაიხედოს კონკრეტული სასწავლო კურსების კრედიტ ქულების მინიჭება;

ვ) გადაიხედოს წარმოდგენილი პროგრამის შინაარსი. განხორციელდეს სასწავლო კურსების ლოგიკური გადალაგება/გაერთიანება;

ზ) თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში გაიწეროს ამ კონკრეტული საგნის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების სქემა;

თ) კვლევითი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით, გადაიხედოს გარკვეული საგნების მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი, გადანაწილდეს კრედიტ ქულების შესაბამისად; გაიწეროს რომელი პრაქტიკა ემსახურება აქტიურ და პასიურ პრაქტიკას. ასევე, გადაიხედოს კვლევაზე ორიენტირებული სასწავლო საგნების შეფასების სისტემები;

ი) კვლევითი კომპონენტის და პედაგოგიური პრაქტიკის სწავლების/გაძღოლის მიზნით, განხორციელდეს პროფესორ-მასწავლებლების დივერსიფიკაცია, პროგრამის განვითარებისთვის. პროგრამაში ჩაერთოს შესაბამისი განათლების, სამეცნიერო მუშაობის და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გათვალისწინებით;

კ) დაიხვეწოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის პრაქტიკა და გამოცდილება, პროგრამის განხორციელებაში ჩაერთოს შესაბამისი გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამაგისტრო ნამუშევრების ხარისხიანი ხელმძღვანელობა;

ლ) უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონულ რესურსებზე წვდომის კოდის ხელმისაწვდომობა; სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის შემუშავდეს ელექტრონულ ბაზებზე წვდომის წახალისების მექანიზმი.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მისი ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღეს (2019 წლის 06 დეკემბერი).

6. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

სხდომის თავმჯდომარე — გიორგი ამილახვარი

საბჭოს მდივანი — ნინო ლიპარტია

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული
2	სტატუსი[2]	ახალი
3	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
4	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	-
5	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	საბაკალავრო-სამაგისტრო
6	კვალიფიკაციის დონე[5]	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	1. დაწყებითი - I-IV კლასის მათემატიკა და ბუნებისმეტყველება, I-VI კლასის ქართული ენა და ლიტერატურა; 2. დაწყებითი - I-IV კლასის ქართული ენა და ლიტერატურა და ბუნებისმეტყველება, I-VI კლასის მათემატიკა
9	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით
10	კვალიფიკაციის კოდი[7]	0114
11	სწავლების ენა	ქართული
12	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
13	განხორციელების ადგილი[8]	საქართველო 2100, ქ. ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. №14
14	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2019 წლის 06 დეკემბერი
15	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა[9]	-
16	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2021 წლის 06 დეკემბერი

[1] დეტალური სწავლის სფეროს შესაბამისი

[2] ავტორიზებული ან/და ხელახალი აკრედიტაცია; ავტორიზებული ან/და ახალი აკრედიტაცია

[3] საგანმანათლებლო პროგრამის დასახელების ცვლილების შემთხვევაში

[4] ბაკალავრიატი; მაგისტრატურა; საბაკალავრო-სამაგისტრო; დოქტორანტურა

[5] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

[6] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

[7] სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისი დეტალური სფეროს ოთხნიშნა კოდი/ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს (120/ნ) შესაბამისი კოდი

[8] ქვეყანა, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

[9] საბჭოს მიერ რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის შესახებ/მონიტორინგის განსახორციელებლად გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში

თავმჯდომარე

მდივანი